

რეგიონული კლასტერების ფორმირების ევროპული გამოცდილება

ნოდარ გრძელიშვილი

ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველო
gigolashvili.eka75@gmail.com

იკატერინა გიგოლაშვილი

დოქტორანტი, საქართველოს ტენიკური უნივერსიტეტი, საქართველო
gigolashvili.eka@gmail.com

საკვანძო სიტყვები: რეგიონი, კლასტერი, კონკურენტუნარიანობა, ევროპა

კლასტერები იმპულს აძლევენ განვითარებული ეკონომიკის ქვეყნების განვითარებას, ხელს უწყობენ ტერიტორიების ორგანიზაციის ახალი ქსელური რესურსის მობილიზებას, საფუძველს უყრიან ეკონომიკის კონკურენტუნარიანობას.

ევროპაში, ისევე როგორც მსოფლიოში კლასტერის აქტიური განვითარება მიიჩნევა ინოვაციური სამეწარმეო საქმიანობის ეფექტურ მიმართულებად.

მეწარმეობის განვითარების კლასტერული კონცეფცია ფოკუსირდება რეგიონის კორპორაციულ სტრუქტურებს, საინვესტიციო, საშუამავლო, ტურისტულ, სამეცნიერო, სასწავლო, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის ურთიერთკავშირებზე.

კლასტერული კონცეფციის არსი მდგომარეობს იმ რეგიონების კონსოლიდებული პოტენციალის რაღობაში, რომელთა ეკონომიკური ტერიტორია წარმოადგენს საფუძველს ევროპული თანამშრომლობის განვითარებისათვის, ხოლო რეგიონული ეკონომიკის პრობლემების გადაწყვეტა-ევროპული თანამეგობრობის საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას.

ევროკავშირი კლასტერულ პოლიტიკას განიხილავს როგორც დარგებისა და რეგიონების კონკურენტუნარიანობის, ინოვაციური პოტენციალის ამაღლების, საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს.

ევროპული მთავრობები სხვადასხვაგვარად განმარტავენ საკუთრივ კლასტერის ცნებას, შედეგად გამოიყოფა სამი მიმართულება:

- ეკონომიკური აქტივობის რეგიონული განსაზღვრული ფორმა მონათესავე დარგებში, რომელიც ძირითადად სამეცნიერო კვლევით ცენტრებზე არიან დამოკიდებული;
 - ვერტიკალური სამრეწველო ქსელი, რომელიც, ძირითადად სათაო ფირმების ირგვლივაა;
 - მაღალი აგრეგაციის დონის დარგები ან ცალკეულ დარგთა ერთობლიობა (აგროსამრეწველო სექტორი);
 - მსხვილი ქალაქები - სამეცნიერო კვლევითი და საქმიანი ცენტრები, რომელიც მულტიკლასტერებს ქმნიან. [1]
- დღეისათვის მეცნიერებასა და პრაქტიკაში განიხილება კლასტერების სხვადასხვა მოდელი. ევროპული კლასტერული

მოდელებიდან აღსანიშნავია: შოტლანდიური, იტალიური, ფინური და სხვ.

შოტლანდიური მოდელი ითვალისწინებს მსხვილი კომპანიის, არსებობას, რომელიც გამოდის კლასტერების ბირთვის როლში, რომლის ირგვლივაც ერთიანდებიან სხვა მცირე, დასაშუალო და მსხვილი ფირმები; იტალიური მოდელი გულისხმობს მრავალრიცხოვანი მცირე ფირმების ერთობლიობას, რომლებიც გაერთიანებულ არიან სხვადასხვა ასოციაციებში კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით. კლასტერების იტალიური მოდელის გამოყენება ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც იწარმოება არამაღალი ტექნოლოგიური დონის პროდუქცია, რომლისთვისაც დამახასიათებელია მოთხოვნის ცვალებადობის და დიფერენციაციის მაღალი ხარისხი. [2]

ბრიტანეთსა და საფრანგეთში არსებობს კლასტერის ფორმირების ისეთი მეთოდი, რომელიც სახელმწიფო-კერძო თანამშრომლობის ფორმით ავლენს თავს. [3].

საკმაოდ პროდუქტიული და სპეციფიურია კლასტერული მიდგომა იტალიაში, სადაც მონაწილეობს დიდი რაოდენობა მცირე ფირმებისა, რომლებიც კონკურირებენ ან ურთიერთთანამშრომლობენ. აღნიშნული ოპერაციები ხორციელდება უპირატესად ჰორიზონტალურ კავშირებში და არა ვერტიკალურში. სახელმწიფო კლასტერს თავს არ ახვევს მზა გადაწყვეტილებებს, თუმცა ერთობლივი გადაწყვეტილება მიიღება თანამშრომლობის შედეგად. აღნიშნულ სტრუქტურას გააჩნია ისეთი უპირატესობები, როგორცაა მოქნილობა, სწრაფი ორიენტაციის შესაძლებლობა, ინიციატივა ხოლო სუსტ მხარედ კი აღიარებულია ის, რომ თითქმის შეუძლებელია ტექნოლოგიურად რთული პროდუქციის შემუშავება. [4]

დღეისთვის აღნიშნული მოდელით იტალიაში ფუნქციონირებს ორასზე მეტი სამრეწველო კლასტერი, სადაც დასაქმებული არის მოსახლეობის 43 % და რომელიც უზრუნველყოფს ეროვნული ექსპორტის 30 %-ს ქვეყანაში. [5] იტალიაში რეგიონული კლასტერების განვითარებისადმი ინტერესი ეყრდნობა ინდუსტრიული ოლქების განვითარების წარმატებულ გამოცდილებას. ეს რაიონები, რომლებიც უმთავრესად განლაგებულია ქვეყნის ცენტრალურ და ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილებში, ხასიათდება ფირ-

მების, როგორც წესი, ტრადიციული დამამუშავებელი მრეწველობის მცირე საწარმოების კონცენტრაციის მაღალი ხარისხით. ინდუსტრიულ რაიონებში გაერთიანებულ ფირმებს სტაბილურად გააჩნია უფრო მაღალი შემოსავლიანობა და მწარმოებლურობა, ვიდრე სხვა რაიონებში განლაგებულ ანალოგიურ საწარმოებს. 1981 წელს აღნიშნული რაიონები სთავაზობდნენ 900 ათას სამუშაო ადგილს და წარმოების აღნიშნულ სფეროში სამუშაო ადგილების 8,6%-ს.

იტალია კლასიკური მცირე ბიზნესის ქვეყანაა, სადაც ამჟამად 4 მლნ ფირმიდან მხოლოდ 2% მიიჩნევა მსხვილ საწარმოდ (მათში დასაქმებულია 1000 და მეტი მომუშავე). სულ იტალიაში, ფუნქციონირებს 200 ინდუსტრიული ოლქი, რომელიც აერთიანებს 60 ათას საწარმოს მასში დასაქმებული 6000 ათასი ადამიანით. ინდუსტრიულ ოლქებში ფუნქციონირებს 1 მლნ-ზე მეტი მცირე და საშუალო საწარმო, რომლებიც უზრუნველყოფენ სამუშაო ადგილებით 4-6 მლნ. ადამიანს.

ინდუსტრიული ოლქების საწარმოები ამჟამლებზე თავიანთ ტექნოლოგიურ დონეს, იწყებენ ექსპანსიას სხვა რეგიონებში. ასე მაგალითად, ხილის გადამამუშავებელად ისინი გადადიან კონსერვების წარმოებისათვის მოწყობილობების გადამამუშავებაზე, გადამამუშავების ფუნქციებს კი აკისრებენ სამხრეთის რეგიონებს. ფენსაცმლის მწარმოებელი საწარმოები იწყებენ მისი წარმოებისათვის მოწყობილობების გამოშვებას. სამომხმარებლო ხასიათის პროდუქციის აწყობის ფუნქციები გადაეცემა მესამე ქვეყნებს.

საფრანგეთში სხვა ქვეყნებთან შედარებით უფრო რთულად ხდებოდა მეურნეობრიობის ახალ ფორმებზე გადასვლა. რამდენადაც აქ ტრადიციულად ძლიერი იყო ცენტრალიზებული სახელმწიფო სექტორი, რომელშიც დასაქმებული იყო სამუშაო ძალის 25%. იწარმოებოდა პროდუქციის 30% და ექსპორტის 1/4. 1995 წელს მიღებულ იქნა ტერიტორიების მოწყობისა და განვითარების პროგრამა. შეიქმნა ტერიტორიათა განვითარების მართვის ორგანიზაცია და მათი მოწყობის ფონდი. 1997-1999 წლების განმავლობაში შემუშავდა და დამტკიცდა საწარმოო კლასტერების სისტემით გაერთიანებული რეგიონების განვითარების პროგრამების 99 პროექტი.

რეგიონული ინტეგრაციის განვითარება ხდებოდა დიდ ბრიტანეთშიც. 1990-იან წლების შუა ხანებში გადაიხედა სამრეწველო პოლიტიკის პრიორიტეტები. ამის შემდეგ ფორმირებულ იქნა ე.წ. საპროგნოზო ტექნოლოგიური პროგრამა. უკვე 10 წელზე მეტია შოტლანდია, უელსი, ჩრდილოეთ ირლანდია და ინგლისის ჩრდილო აღმოსავლეთი წარმატებული რეგიონული დინამიური განვითარების დემონსტრირებას ახდენენ ავტომობილების, ელექტრონიკის, ქიმიკატების წარმოებაში და ზოგიერთ ტრადიციულ სექტორში. მაგალითად კვების პროდუქტებისა და სასმელების, ტანსაცმლისა და საფეიქრო ნაწარმის წარმოებაში.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რომელიც დიდი ბრიტანეთის მთავრობამ გადადგა, იყო ქვეყნის ყველა რეგიონული კლასტერის გამოვლენა და კარტოგრაფია. აღსანიშნავია ბრიტანეთის სამხრეთის კლასტერები მომსახურების სფეროსაკენ იხრებიან (პროგრესული უზრუნველყოფა,

საქმიანი მომსახურება და ა.შ.) ჩრდილოეთის კლასტერები კი ძირითადად ვითარდებიან სასაქონლო წარმოების ბაზაზე. ლონდონი და ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთი გამორჩეულია ყველაზე მაღალკონცენტრირებული და წარმატებით განვითარებადი კლასტერებით.

თავდაპირველად, ფირმათაშორისი თანამშრომლობისადმი უნიფიცირებული მიდგომა შემუშავებულ იქნა დანიაში 1989-1990 წლებში. 1992 წელს კლასტერებში გაერთიანებული იყო ქვეყნის ყველა ფირმის 40%, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ექსპორტის 60% -ს.

გერმანიაში ტერიტორიების განვითარებას ხელს უწყობს ფედერალური ორგანო, რომლის შესაბამისადაც მიწებს გააჩნიათ მეტი დამოუკიდებლობა და ახორციელებენ განვითარების საკუთარ პროგრამებს თავიანთი სახსრებით. გერმანიაში მუშაობს სამი საუკეთესო კლასტერი და მაღალი ტექნოლოგიების შვიდი კლასტერი, რომელთაც მიღებული აქვთ საპატიო წოდება „XXI საუკუნის სილიკონის ველი“ - ეს არის მიუნხენი, ჰამბურგი, დრეზდენი. [6]

კლასტერებმა იმპულსი მისცეს იმ ქვეყნების რეგიონების განვითარებას, რომლებიც იყენებდნენ მათ პრინციპებს. განვითარების შესაძინევი ტემპი შეინიშნება ავსტრიის ეკონომიკაში, სადაც ამოქმედდა ტრანსსაზღვრო კლასტერები გერმანიასთან, იტალიასთან, შვეიცარიასთან, უნგრეთთან, გააქტიურდა კავშირები საფრანგეთთან და დიდ ბრიტანეთთან. ინდუსტრიას ვერ ექნება მომავალი, თუ კი ის არაა საქმიან კავშირში მეცნიერებასთან, არ ავითარებს წარმოებას, მომარაგებასა და რეალიზაციას. კლასტერული მოდელის საფუძველზე რაციონალური და ეფექტური განვითარების კონკრეტული მაგალითია ავსტრიაში და ავტოსამშენებლო ინდუსტრიის აღმავლობა. 2000 წელს, შტირიისა და ზემო ავსტრიის მიზების ორ კლასტერში კონცენტრირებულ საავტომობილო წარმოებაში მომუშავე 30000 პირმა გამოუშვა 8,1 მლრდ. დოლარის პროდუქცია, ანუ მთელი ქვეყნის წარმოების მოცულობის 10%-ზე მეტი.

ავსტრიაში გამოვლენილი 76 რეგიონული კლასტერი, სპეციალიზაციიდან გამომდინარე, პირობითად დაიყო 6 კატეგორიად: სამრეწველო, ტექნოლოგიური, საგანმანათლებლო, საექსპორტო, შერეულ, მომსახურების სფეროს კლასტერებად.

ეკონომიკის სტრუქტურის ანალიზისადმი კლასტერული მიდგომა პოპულარული გახდა ფინეთში მას შემდეგ, რაც იგი პირველად გამოიყენეს 1991-1993 წწ. ქვეყნის სამრეწველო პოლიტიკის შესამუშავებლად.

გარდა ამისა, მოცემული პროექტის ფარგლებში ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრომ მოამზადა დირექტივები, რომელთა საფუძველზეც შემუშავდა და დამტკიცდა ეროვნული სამრეწველო სტრატეგია, რამაც შესაძლებელი გახდა მაკროეკონომიკური რეგულირებიდან კლასტერების განვითარებაზე დაფუძნებულ სამრეწველო და ტექნოლოგიურად კონკურენტულ პოლიტიკაზე გადასვლა.

გაანალიზდა ყველაზე პერსპექტიული დარგები. კრიტერიუმები გახდა მდგრადი ექსპორტის არსებობა და უცხოური ინვესტიციების ნაკადი. განისაზღვრა „კლასტერული კარ-

კასი“, რომლის შედეგსაც წინ უსწრებდა დიდი და შრომატევადი სამუშაო. შედეგში იქნა სატყეო მეურნეობის, ფერადი მეტალურგიის, ენერგეტიკის, ტელეკომუნიკაციების, ეკოლოგიის, ჯანდაცვის, ტრანსპორტის, ქიმიის, მშენებლობის, სურსათის კლასტერული რუქები.

ფინეთის კლასტერების წამყვანი ფირმების რიცხვში შედის მთელი რიგი მსხვილი ტრანსნაციონალური კომპანიების საწარმოო და სერვისული ქვედანაყოფები, ისეთები როგორცაა „Eriksson“, „Siemens“ „Fujitsu“, „IBM“. მსხვილი ტრანსნაციონალური კორპორაციების მიერ ფინეთში წარმოებებისა და კვლევითი ცენტრების შექმნა მიზნად ისახავს არა მხოლოდ მომხმარებელამდე მიახლოებას, არამედ მეტწილად ორიენტირებულია კვალიფიციური სამუშაო ძალის უპირატესობათა და ეროვნული სისტემის შესაძლებლობათა გამოყენებაზე.

ტურისტული კლასტერების სპეციფიკა ევროკავშირის ქვეყნებში ბევრად არის დამოკიდებული კონკრეტული ქვეყნის კლასტერულ ეკონომიკაზე. აქ მათი ფორმირება შესაძლებელია, როგორც მსხვილი ისე სუსტი ფირმების მონაწილეობით. მაგალითად, კლასტერები იტალიაში აერთიანებენ უპირატესად მცირე და საშუალო საწარმოებს.

შოტლანდიაში (ეკონომიკის საბაზო მოდელი) – კლასტერები ყალიბდება მსხვილი ზოგჯერ უცხოური წარმომავლობის საწარმოების მონაწილეობით. [7]

რეგიონის კონკურენტუნარიანობა დამოკიდებულია მასში მოქმედი სუბიექტების ეკონომიკურ საქმიანობაზე. სწორედ ამიტომ კლასტერული მიდგომა, როგორც ტრადიციული დარგობრივი, სამრეწველო პოლიტიკის ალტერნატივა კონკურენტუნარიანობის ამაღლების ეფექტური მექანიზმია. [8]

ალიარებული კლასიფიკაციის მიხედვით ტურისტული,

ტურისტულ-რეკრეაციული კლასტერი განეკუთვნება ინდუსტრიულს (დარგობრივს) რის გამოც, ის წარმოადგეს ტრადიციულ სფეროს ეკონომიკაში. [9]

კლასტერული პოლიტიკის რეალიზაციაში განსაკუთრებული როლი ეკისრება ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებს. კლასტერული პოლიტიკა ემყარება კონკრეტული რეგიონის კონკურენტუნარიანობას, რომელიც დამოკიდებულია ურთიერთდაკავშირებული დარგების კლასტერის არსებობაზე. [10]

რეგიონში კლასტერის ჩამოყალიბების ერთ-ერთი პირობაა დარგების სპეციალიზაციის არსებობა. სპეციალიზაციაში იგულისხმება შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ფორმა, რომელიც ასახავს პროდუქციის ცალკეული სახეების ან მისი ნაწილების წარმოების თავმოყრას დამოუკიდებელ დარგებში, წარმოებასა და სპეციალიზებულ საწარმოებში. [11]

რეგიონული კლასტერის შექმნისთვის აუცილებელია კლასტერული ანალიზის მომზადება, რომელიც მისი სტრუქტურის განსაზღვრის საშუალებას მოგვცემს – ინფრასტრუქტურა, კვალიფიციური სპეციალისტი, კაპიტალი და მეცნიერული უზრუნველყოფა. [12]

განვითარებული ქვეყნების გამოცდილება ადასტურებს, რომ ამჟამად თანამედროვე ტექნოლოგიების შექმნა შეიძლება ეყრდნობოდეს მხოლოდ ინტეგრაციის პროცესებს, მათ შორის კლასტერების განვითარების გზით.

კლასტერებზე აგებული ეკონომიკა – ეს არის კონკურენტუნარიანი და ინვესტიციურად მიმზიდველი ეკონომიკის მოდელი, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობის ცხოვრების მაღალ დონესა და ხარისხს და წარმოებაში რთავს არა მხოლოდ რეგიონის მსხვილ საწარმოებს, არამედ მცირე და საშუალო ბიზნესს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Smeral, E., 1998. "The impact of globalization on small and medium enterprises: new challenges for tourism policies in European countries", *Tourism Management*, Vol. 19, No. 4.
2. Sirilli, G. and Evangelista, R., 1998. "Technological innovation in services and manufacturing: results from Italian surveys", *Research Policy*, 27.
3. Maskell, P. and Malmberg, A. 1999. "Localised Learning and Industrial Competitiveness", *Cambridge Journal of Economics*, 23.
4. Miles, I. April 2001. "Services Innovation: A Reconfiguration of Innovation Studies", *Discussion Paper Series*, The University of Manchester.
5. Pechlaner, H.A., Smeral, E.B. and Matzler, K.C., 2002. "Customer Value Management as a determinant of the competitive Position of Tourism Destinations", *Tourism review*, Vol. 57, No 4.
6. ე. ბარათაშვილი, ნ. გალახვარიძე, ვ. არაბული, ნ. გრძელიშვილი 2012. „საქართველოს ეკონომიკა“
7. Simmie J, Sennet J. 1999. October. Innovative clusters: global or local linkages? // *National Institute Economic Review*. No. 170. – p.87
8. Roelandt Theo, Pim den Hertog, Jacobs Dany, 1997. "Nederlandse clusters in beeld" // *ESB – V.12, N2. –P.124-128*
9. Bergman E.M., Feser E.J. 2000. National industry cluster emplates: a framework for applied regional cluster analysis// *Regional studies*. 34(1). pp1-19
10. ნ. გრძელიშვილი, 2014. რეგიონული კლასტერები და საქართველო. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი გვ. 413-417.
11. Горшенева О.В. 2006. Кластеры: сущность, виды, принципы организации и создания в регионах // *Экономический вестник Ростовского государственного университета*. № 4. Ч.2.
12. Громыко Ю.В., 2007 Что такое кластеры и как их создавать // *Альманах Восток*. №1 (42).

EUROPEAN EXPERIENCE OF REGIONAL CLUSTERS FORMATION

NODAR GRDZELISHVILI

Doctor of Economics, Associated Professor of David Aghmashenebeli University. Georgia
gigolashvili75@gmail.com

EKATERINE GIGOLASHVILI

Doctoral students, Georgian Technic University, Georgia
gigolashvili75@gmail.com

KEYWORDS: REGIONS, CLUSTERS, COMPETITIVENESS, EU

SUMMARY

In this work the role and the meaning of regional clusters in EU are discussed. It is also said that the clustered politics is the new direction in the Politics of the Economic development, and also the clustering is very weak on the modern level of the Economic development of EU. One task is to show the clustering potential in increasing the competitiveness both in the country and in the regions. As the world practice shows us the cluster approach is not only

the mean to reach goals of the industrial politics, (structural changes, increasing competitiveness, intensification of new courses and etc.) at the same time this is a powerful tool to stimulate regional development, which at the end may be seen in the trade balance stimulation of the regions, also in raising the employment, in budgets of different levels and in increasing the salary, in raising the industrial Sustainability and competitiveness of the regions.